ფასი 50 მ

№ 43

1920 წ.
ოქტომბერი 3

184

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა ბაქოში.

დელეგატები. (მას შემდეგ, რაკი დედა-მიწაზე სოციალიზმი დაამყარეს). ჩვენ იერიშს მივიტანთ და შევმუსრავთ ბურჟუაზიულ ზეცას!

993 ი.

ემილ ვანდერველდე სახალხო სახლში.

„ორატორს თავი მხრებში ჩაემალა. მოხრილი ხელები წინ გაეწია და ფრთხილი ნაბიჯით წინ მიიწევდა. სამი ნაბიჯი გადადგა; უკვე გამოირკვა რომ ის ნიკო ელიავას ეპარებოდა.— საწყალი ნიკო! ალბათ გაუგია რომ წინეთ მოიბალშევიკებდა“...

გაამბა-ში-ძე

არაკი

ამ მცირე შრომას ავტორი გულითა და სულით უძღვნის საყვარელ მომარაგების სამინისტროს.

ძველათ, ათეულ საუკუნის წინ, როცა ქვეყნათ სათნოება სუფევდა, მგელი ცხვართან სძოვდა და ცხვარი მგელს არ სჭამდა, ცხოვრობდა სამი ღირსშესანიშნავი პირი: სიკო, ნიკო და კიკო.

სიკო სახელგანთქმული იყო ბოზბაშის ჭამაში და ამხანაგებმა მეტ სახელად ბოზბაშევი ანუ, როგორც ენა მოჩლექილი ნიკო ეძახდა, უზბაშევი დაარქვეს.

ნიკო მომღერალი იყო, მაგრამ ენა-მოჩლექილი იყო და „ოდელიას“ ვერ ამბობდა. „ოდელია-ოოს“ მაგიერ ისმოდა ო-გელია-გოო. ამხანაგებმაც ზედმეტ სახელათ დაარქვეს გელია-გო გელია გოო.

კიკო კი ყველაზე ფრთხილი იყო და მეტ სახელის დაძახების საბაბს არ აძლევდა ამხანაგებს.

ემილ ვანდერველდე სახალხო სახლში.

„მერმე ორატორმა ხელები ჩაიქნია და გაემართა ჰარმენ კახიანისაკენ—ნამდვილათ გაჰქრას! ვფიქრობდი გუნებაში. ახიც არის მე და ჩემმა ღმერთმა, რას იწყებდა „ინტერნაციონალის მღერას, თუ ხმის მეტი არ იცოდა!“

სხვას სიამოვნებით დასცინოდა ხოლმე, მაგრამ თავის თავის დაცინვაზე ძალიან ჯავრობდა. მე დარწმუნებული ვარ ახლაც გაჯავრდება კიკო (თუ კი ცოცხალია), როცა თავის მეტ სახელს გაიგონებს, თუმცა ძველად, ძალიან ძველათ მოხდა ეს ამბავი.

უზბაშევი მარიფათიანი კაცი იყო. ბედმა გაუღიმა და გამდიდრდა. ცოლი შეირთო და ვაჟიც შეეძინა.

გელია-გო-გელია-გო და კიკო კი ხეტიალში ატარებდენ დროს და, სადაც ულამდებოდათ, იქ უთენდებოდათ. ბოლოს გადასწყვიტეს უზბაშევისაგან ესესხათ ფული საწარმოვო თანხის შესაქმნელათ. უზბაშევმა გადაჭრილი უარი უთხრა.

ამხანაგის ასეთმა ულიერმა მოქცევამ მეტათ გააჯავრა კიკო. მან უზბაშევი ბურჟუაზიის კლასს მიაწერა და გადასწყვიტა მისი დაჯარიმება. საუცხოვო გეგმა შეადგინა: მოქსოვა დიდი ბადე და მო-

ემილ ვანდერველდე სახალხო სახლში.

„მცირე დასვენების შემდეგ ორატორი ერთ წერტილს მიაჩერდა. სახე შეეცვალა, თვალებში შიში აღებეჭდა.— ნეტა რამ შეაშინა ასე მოულოდნელად? გავიფიქრე მე და იმავე წერტილს დავაცქერდი, სადაც პატარა მაგიდას ეშმაკი უჯდა, ხოლო მის გვერდით დავით შარაშიძე იყო ამართული.— ვთქვათ, ამ დავითის თარგმანი არ მოეწონა, მაგრამ ეშმაკს რაღას ერჩის? ალბათ გაიგო, როგორ მხაგრავს რედაქციაში და ამისთვის განიზრახა მისი მოსპობა".

ხერხებულ ადგილზედ დადგა და, როცა უზბაშევის ბავშმა გამოიარა, შიგ გააბა.

— ვაშა, კიკო! — იყვირა გელია გოგელია-გომ, რომელიც სხვა ძმა-ბიჭებთან ერთად ეხმარებოდა კიკოს ბავშის დაჭერაში: — ვაშა! გაამბა-შით-ძე უზბაშევისა.

და ამის შემდეგ დაარქვეს კიკოს გაამბა შიძე.

ბავში წაიყვანეს შორს და დამალეს. ძუნწი უზბაშევი იძულებული იყო ოცდაათი ათასი მანეთი მიეცა კიკოსთვის, რომ ბავში დაეხსნა.

კიკო სიამოვნებით იგონებდა ამ ამბავს, მაგრამ ძალიან ეჯავრებოდა, როცა გელია-გო გელია გომეტ სახელს დაუძახებდა:

გაამბა-ში ძე.

შეიძლება დღესაც (თუ კი ცოცხალია), ეწყინოს კიკოს ამ მეტ სახელის დაძახება, თუმცა ეს მოხდა ძველად, მეტისმეტად ძველად, ცამეტი თუ თოთხმეტი საუკუნის წინ, თუ მახსოვრობა არ მღალატობს, 1907 წელში.

გრ. ხლუჩაძე.

ა მ ხ. ი ნ გ ე ლ ს ი.

ა მ ხ. დ ე-ბ რ უ კ ე რ ი.



როგორც ხედავთ ეს შარჟი ამხ. დე-ბრუკერისა ოდნავაც არა აქვს ორიგინალს. ამიტომ იყო, რომ „ეშმაკის მათრახის" რედაქციას გადაწყვეტილი ჰქონდა სურათი სტუმრის წასვლის შემდეგ დაებეჭდა. მაგრამ ვინაიდან მოლოდინი არ გაგვიმართლდა ვბეჭდავთ დღესვე.

აკაკი ჩხენკელი აჭარაში

უკვე ცნობილია, რომ ჩვენს ძმა აჭარელებს მთელ დუნიაზე მცხოვრებ ხალხთა შორის ყველაზე უფრო ოსმალები უყვართ, ხოლო ოსმალთა შემდგომ ქართველები.

ჩვენ მუსულმან ძმათა გულში ქართველებისათვის ესდენ საპატიო ადგილის დათმობა გამოწვეულია უმთავრესად ამხანაგი აკაკი ჩხენკელის სიყვარულით.

ახლანდელ დროში ბეგობა და ფაშობა არაფერი სახარბიელო არ არის, თორემ აჭარის ბეგებისათვის დიდათ დამაფიქრებელი იქნებოდა აკაკი ჩხენკელის ესოდენი გავლენა.

ამიტომ არავისათვის გასაკვირი არ უნდა იყოს აჭარელთა სურვილი, თავის მთა-გორიან სოფლებში, პირისპირ ნახონ მათი საყვარელი მოღვაწე და ურიცხვი ჭირ-ვარამი დღევანდელი ცხოვრებისა მას გაუზიარონ.



დელეგაცია დელეგაციაზე მოსდიოდა აკაკი ჩხენკელს აჭარიდან, მაგრამ რიგში ხან ბორჩალო იდგა, ხან იმერეთი, ხან ოსეთი, ხან სამეგრელო, ხან კიდევ გურია. მიუხედავად უდიდესი სურვილისა, აჭარაში მოგზაურობის რიგი აკაკი ჩხენკელს სულ ბოლო ხანებში მოუწია.

განის კომუნა

ტრაგედია 1 მოქმ. თარგმანი გ. ჯიქიასი.

მონაწილენი პირნი:

დიტო ქოცო ჯონტოია	მონათლული კომუნისტები.
ტაგუ სისო ვალურია	მოსანათლი კომუნისტები.

(კოხტა ჩოხებში გამოწყობილი ახალგაზრდობა და ბოლოს მილიციის უფროსი მილიციელებით).

სცენა წარმოადგენს ოთახს, სადაც სდგას საწერი მაგიდა, რამოდენიმე სკამი და კედელზე ლენინის სურათი ჰკიდია.

მოქმედება ბირველი.

დიტო (ზარს არაწკუნებს). ამხანაგებო! კრებას ვაცხადებ გახსნილად, და განძის იაჩეიკის სახელით მოგესალმებით თქვენ, სამეგრელოს კომუნის მოციმციმე ვარსკვლავნო! დაე გვდევნონ ჯალათებმა, მომავალი მაინც ჩვენია! გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

ყველანი (ერთხმ.). გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

ქოცო. მე მინდა თქვენს საყურადღებოთ განვაცხადო, ამხანაგებო, რომ აქ არიან საუკეთესო ახალგაზრდები, რომელთაც ვერ აუტანიათ მენშევიკური რეჟიმი და სურთ ჩვენს პარტიაში ჩაეწერონ. ასეთების რიცხვი ძრავალია განძაში და უნდა მიეხედოთ მათ.

დიტო. სასიამოვნოა ეს ამბავი, დღითი დღე მრავლდება ჩვენი პარტიის წევრთა რიცხვი. გაუმარჯოს კომუნიზმს და დაჩაგრულ ხალხთა თავისუფლებას!

ტაგუ (ქართულს ცუდათ ლაპარაკობს). მა პატონი მინდა ბალშევიკობა.

დიტო. დღემდი რომელ პარტიას ეკუთვნოდი ამ ხანაგო? ალბათ მენშევიკი იქნებოდი... არა. სასიამოვნოა, რომ ახლა...

აკაკი ჩხენკელი თავის დაახლოებულ ბირთა და აჯარელთა თანხლებით გაემგზავრა აჯარისაკენ. ვიდრე გზა ამის ნებას აძლევდა, აჯარელებს თავისი საყვარელი სტუმარი ტრახტევანით დაჭყავდათ.

ტაგუ. ვარ პატენი, მენშევიკები მე არ მომწონს, ისინი ციხეში მაგზავნიდენ. ნიკოლაის სტრაჟნირკები სულ ციხეში მალპობდენ, მენშევიკებიც ნიკოლაიზე ვარესები არიან!..

დიტო. ეგ არაფერია, ამხანაგო, მენშევიკები ციხეებით ვერ შეგვაშინებენ!

ტაგუ. ქო პატენი, მარა ძველი მთავრობაზე უარესად გვექცევიან... წინათ რო ცხენის ქურდობაზე დამიჭერდენ, ერთი თვე ვიჯექი ციხეში, ახლა კი, აი შარშან ერთი ჯარგა ცხენი მოვიპარე და ერთი წელიწადი ჩამსვეს.

დიტო. არა უშავს, ჩვენც გადაუხდით სამაგიეროს, ქოცო! მეტი ვინაა კადევ ჩასაწერი?

ვალურია (ქართული ცოტა იცის). მა პატენი მა! არ მინდა ბურჯუების მთავრობა. ერთობა თუა ყველასათვის იყოს, თუ არა, ასე ნიკოლოზის მთავრობაც ქე გვანწვაებდა. ცხენის ქურდობა არ შეიძლებაო, ხარის ქურდობა არ შეიძლებაო, უბრალო ქაცარი რო ქაცარია, ისიც კი არ შეიძლებაო! ჯგირი ჯიმა, მარა თუ ცხენი ვებხირა, ხოჯი და ქაცარი ვებხირა, მა რა უყო ცოლ შვილს, რითი ვარჩინო? ნიკოლოზის მთავრობა სჯობდა, პრისტავს ვერტყოდი: „გვერდი სი და გვვრდი მა“ და მერე მიდი, ვალურია, რამდენიც გინდოდეს, ახლა კი, არაფერი გამოდის მაგენთან, თქვენ ნამდვილი საჩემო პარტია გქონიათ!

დიტო. კარგი, ამხანაგო, ჩაგწერავთ. კიდია ვინმე?

სისო. მე ვარ, შენი ჭირიმე, მე, გეხვეწებით მიმიღოთ თქვენს პარტიაში. ძველი გამოცდილი კაცი ვარ, ძველ დროს დიდი ამბები მიქნია. ბანძაში რო ცხენს მოვიპარამდი, გურიაში გადმყავდა, იქ კარის კაცები მყვანდა და იქიდან სამაგიერო ცხენს ან ხარს წამოვიყვანდი. მთავრობასთანაც საქმე მქონდა გაკეთებული და ასე ვცხოვრობდი არხეინად. ახლა კი საქმე ცუდათ არის, აქაოდა სისოია ქურდი არის და ის მოგვპარამდაო, და მამალიც რო დაეკარგოს ხალხს, მე მაბრალებენ.

დიტო. ჩაიწერებით. მეტი არავინაა მგონი. მაშ შეუდგეთ სხვა საკითხებს. (ეზოში ცხენს შემოაჭენებს კომისარი და მილიციელები).

ვალურია (შეშინებული). ვავა ჯიმა, კომისარი!!

კომისარი (მრისხანეთ). ჩვენ ერთი კვირაა დავეძებთ ტაგუ სართანიას, ციხიდან გამოქცეულს, რომელიც იყო ცხენის ქურდობისათვის დაჭერილი, ის კი თქვენს ბიუროში აფარებს თავს. კანონის სახელით დაჭერილათ ვაცხადებ ტაგუ სართანიას, ხოლო თქვენ კი სათანადო ოქმი უნდა შეგიდგინოთ.

მილიციელი (შეხედავს ვალურიას და იცნობს). ბატონო კომისარო, აი ჩვენ რო დავეძებდით მეწველი თხის ქურდობიზა ვალურია კიკაჩიას, ესეც აქ ბძანდება!

კომისარი. ძალიან კარგი, დაატუსაღეთ! (კომისარი ოქმს ადგენს).

დიტო. კომუნისტური პარტიის სახელით ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ ასეთ ძალადობისთვის, და ლეგალურ კრების წევრთა დატყვევებისათვის.

მაგრამ საურმე გზა მალე შესცვალა მთის ვიწრო ბილიკებმა. ტრანტევანის გატარება აქ ყოვლად შეუძლებელი იყო და დეპუტატი იძულებული გახდა ქვეითად ევლო აჭარის ოღრო-ჩოღრო ბილიკებზე. მან აქ განსაცვიფრებელი სიმარდე და სიჩაუქე გამოიჩინა.

ის მკვირცხლათ კენჭერივით ადიოდა ციცაბო აღმართებზე



და ასეთივე მწევარის სიმკვირცხლით ეშვებოდა საშიშარ დაღმართებზე.



სოტარის გაბედულობით და კავალერისტის ხელოვნებით დაჯირითებდა ურა ცხენს ისეთ ადგილებში, სადაც ეს უბრალო მოშკვდავისათვის თითქმის შეუძლებელი იყო.



და შეუბოვარის სიმტკიცით აბობდა ნაგით აზვირთებულ ტალღებს, რომ მოის მდინარეთა გადალახვა იყო საჭირო.

ხოლო პატარა გიჟმაჟ მთის მდინარეებზე ჭვენს საკუთარი ფეხით გადადიოდა.

კომისარი. ჩემი უფლება რომ იყოს... მარა თქვენი ბედი, რომ ეს ასე არ არის, თქვე ავაზაკებო, თქვენა! (კომისარი და მილიციელნი მიდიან, მიყავთ დაჭერილები).

დიტო (კოცოიას). ეხლავე შეადგინე საპროტესტო წერილი და გაუგზავნოთ „კომუნისტის" რედაქციას, რათა მთელმა ქვეყანამ გაიგოს ეს უსამართლობა.

კოცო. საჭიროა დეპეშით შევატყობინოთ. (სწერს) „12 ივლისს ბანძის იაჩეიკის ლეგალურ კრებაზე მოახდინა ადგილობრივმა კომისარმა წარმოუდგენელი სიჯალათე. დაგვეცა მილიციელებით, ბიუროს ბინა მილეწ-მოლეწეს, დაიჭირეს ჩვენი პარტიის საუკეთესო ამხანაგები ვალერია კიკაჩია და ტაგუ სართანია. ჩვენ ასეთი ძალადობის წინააღმდეგ ვაცხადებთ ენერგიულ პროტესტს და მოვითხოვთ დატუსაღებულთა განთავისუფლებას.

დიტო. აბა ახლავე გაგზავნე დეპეშა, რომ ხვალ იქნეს დაბეჭდილი.

კოცო (საჩქაროთ გადის).

გ ბომბოთელი.

ფ ა რ დ ა.

სატრფოს

სალამოს ბინდმა ურცხვათ მოჰკლა დღე ავათმყოფი.
პაოლოს ბაღში შევიპარე მალვით, ქურდულათ:
ურცხვათ დავკრიფე სხვა და სხვა ხის ჭრელი ნაყოფი
და ოქროს სინზე შემოვაწყვე ფუტურისტულათ.

მე ეგ ნობათი შენთვის მინდა, ჩემო ოლია...
გახსოვს: თეთრ მკერდზე ვით დაგკარი რკინის სა?ეხი?
გულის მეუფე მე შენს გარდა არვინ მყოლია
და... გადავყლაპე შენი ცხვირის ჩამონალ ეხი.

მოვჭრი, მოვცეკვავ,—გიჟურ ცეცხლის ოხრათ მთესავი.
გახსენ პერანგი და დასწყვიტე ეგ მჭლე ზორტები.
ტროცკის ბრძანებით ჩამოვარდა საერთო ზავი ..
რა საჭიროა, მაშ, ეგ ციხე, ეგ ყრუ ფორტები?

აჰა, მოვედი: გადააგე ტახტზე ლეიბი!..
დაკოდილ ტახებს ალლუმი აქვთ ყავახანაში.
რაა ცხონება?—თეთრ ლოგინში ღამის ქეიფი
და ზანტათ გორვა ვნებით სავსე აბაზანაში.

d.

გზა-გზა საუკარულ სტუმარს აჯარის დემოკრატია სიუკარულითა და ზეიმით ეგებება.

შექანჯალეგულის ლექსი

I

ინდი, ბინდი, ფერად შინდი,
გავფრინდი და გამოვფრინდი,
გაგიქროლებს თავში ბინდი
ამლერდი და ალილინდი...
სოფლელთ უდგას შემოდგომა...
გამარჯობა ძმაო თომა,
გვეღირსება აწ გაძღომა?!..?
და ტომარით აქ-იქ ძრომა,
ხვეწნა-ღრეჯით ფქვილის თხოვა—
წავა ეს დრო?.? ალარ მოვა?
ნუღარ მოვა ეს დრო მკაცრი!..
აწ სახლში ფქვილს ვინ არ გაცრის,
იქნებ ვჭამოთ კვერი ნაცრის...
ნედლი სიმინდი თუ დავფქვით
აბა, გახმობას ვით ვაცლით...
მაგრამ ძმაო, მახარბელა...
რა შეგვემთხვა ხათაბელა.
მრავლობს პური მათრობელა,
აუტეხა მათ რო ბელა
ვინ შეჭამა, ვინც, მიირთვა,
დაითრო და ჰკვაც წაერთვა..,
პურიც გიჟობს?! ეს გიკვირდა?..
ალარ კმარა, რაც გაძვირდა...
მაგრამ რაც უნდა გაძვირდეს
რა ზომამდე არ გიჭირდეს,
ცოტა მაინც უნდა სჭამო
რომ დღეები დააღამო,
და თუ ამ დროს შენ დაითრო,
დაივიწყო წყეული დრო:—
რომ ხარ მეტად უბედური,
არ სთქვა ძმაო საყვედური;
ჯავრზე ღვინით ვინ არ თვრება,
ღვინო კი კუჭს არ ეკვრება,
და დღეს პურით თუ დაითრო,
თითონაც უნდა ინატრო,
კუჭსაც აძღებს, თანაც გათრობს
ამას ახლა ვინ არ ნატრობს?!
მაშ, ვადიდოთ მათრობელა,
შავი პური—მახრობელა,
კუჭსაც ვიძღობთ, თან ვითრობით
დარდს ვივიწყებთ და ვერთობით,
მარტო ძმობა და ერთობით
და „ავხანაგის“ ძახილით
(თუ რომ არ ძღები მკვახ ხილით)
იცოდე ვერას გახდები...
გამწვრილდები და გახდები.
ვადიდოთ მაშ, შემოდგომა,
იქნებ გვეღირსოს გაძღომა,
დამწიფდა მსხალი, ატამი,
(რათ გვინდა ახლა ქათამი)
დამწიფდა მსხალი და ვაშლი,
თუ გაირჯები, პირს გაშლი
უზმოზე ხილებს მიირთმევ
და წვრილ შვილებსაც თუ აქმევ,
და ზედ უმ წყალსაც თუ ასმევ,
დაიპატიჟებ ხოლერას
სხვა გვარად იწყებ შენ მღერას.
დამწიფდა ვაშლი და მსხალი,



თანახმად ჩვენ მუსლიმან თანამოძმეთა ადათისა ჯაჯი ბირნათლად ასრულებდა წმინდა ნამაზს და მხურვალე ლოცვას ადავლენდა.

სჭამე უზმოზე, სვი წყალი,
დამწიფდა კომში იქ—გომში,
მსხვილი ატმები კი—გორში,
დამწიფდა ნუში, შინდები,
აწ, ძმებო, ნუ შეშინდებით—
შიმშილს აწ გაუმკლავდებით,
ან და, სულ ჩავსაფლავდებით.

II

ინდი ბინდი, გადმოვფრინდი,
იაფია ყველგან შინდი,
სჭამე ძმაო ნუ შეშინდი...
გაიაფდება სიმინდი,
გაიაფდება ხორბალი
(თუმცაღა არ გვაქვს ოლბალი)...
ერთი! ორი! ერთი! ორი!.
სკუპ!.. და გავხდი ინსტრუქტორი,
არ გეგონოსთ თქვენ ეს ჭორი...
ან გორი და ან კოჯორი...
სიდან სადა, წმინდა საბა,
ალარ შვენის ღვდლებს დღეს კაბა,
ვით სანდრუა კაცახიანცს
უთაო თავით თაობა,
და უშნო „ვსტანკა ვანკობა“
სხვის ჰანგზე სულ „ტანცობა“...
ჰო... მე გავხდი ინსტრუქტორი,
მგონი კიდეც ინსპექტორი,
ხმოსანი თუ ბეითალი,
არც კი მახსოვს... ვისი თვალი
სამოწყალოდ მომაცქერდა.
წინედ ბუზებს ვინც იჭერდა,
„საქმიანობს“ დღეს სულ ყველა,
„ვმირებმა“ დრო დაიხელა
გუშინდელი „ამხანაგი“
(თუმც არ მინდა რომ ვსთქვა აგი,)
დღეს ამღერდა სულ სხვა ხმაზე,
გადაისვა ხელი თმაზე
(ხიბლავს მუცლის ლილამაზე)
„სოციალიზმის“ სახელით
მალაყებს ოხრად გადადის,
რასაც კი სჩადის, ხომ გადის,
(საიდუმლოა ეს მადი!)
ხედავს დუშაშიც რომ მოდის...
ძარს „ამხანაგის“ ნიდაბი,
ნათლად მაჩვენე ნიკაპი,
ვერსად ვერ დამემალები,
მაჩვენეთ კარგად თვალები
თუმც ხართ „დანადასტურები“—
მაგრამ თქვენ ფერი ტურები
მელები ქათმის მპარავი.
(თუმც გადგათ თავს სხვა კარავი
თქვენი მოწყალე—მფარავი)
სჯობს ადრე თუ მოგვშორდება,
თორემ ჭაობი შმორდება...
სჯობია თქვენი გაწმენდა—
ცოდვილის დროზე წაწყმენდა...

ლიმილ

თუმცა სურათების აღწერაში ჩვენ ბადალი არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩვენთვისაც მიუწდომელია იმ მშვენიერების გადმოცემა, რომელსაც აკაკის მამაშვილური პასსი წარმოადგენს, როცა დღიური მოგზაურობით დაქანცული მოდვაწე აჭარელის ოჯახში ცოტას მოირახათებს.

III

თარალალი, არალალი,
სად შრომაა არ ალალი,
სად ჭამაა მუქთად პურის,
მინდა აწევა მათ ყურის...
სამდივნო სამწიგნობროებს,
(ვინც კი მე ცოტას მადროებს)
ამ ახალ „კანცელარიებს."
(ოჭრად რომ იტევს დარიებს,
პ სტი, ლიზოჩკებს, მანიებს,
მუქთად ქოჩორის ფხანიებს)
მივალ და იმათ მაგიდებს —
(თუნდაც ეწყინოს აგი დებს
და მოკავალრე იმათ „ძმებს")
მივალ, მაუდებს ავაცლი,
(მათ შეხედვასაც არ ვაცლი,)
მივალ, ავახევ მაგიდებს,
და ქვეშ ქაღალდნი რაც რომ დევს,
შევძრავ და გავამზეურებ,
„საქმეებს" ავახმაურებ,
მივცემ სულ ყველას მსვლელობას,
ავაცდენ უქმ წელთ მსვლელობას,
და უსიკვდილო-მკვლელობას.
ყველას აუწევ იქ ყურებს,
და მაგიდიდან მათ პურებს
გადავყრი, მივფანტ-მოვფანტავ,

ვეტყვი მათ: აქ დროს რათ ბანდავთ
ლაღობა უქმ მასლაათში,
მუდამ რად უცქერთ საათში,
მუდამ შინ წასვლას იჩქარით...
სჯობს კალამს ხელი გაჰკარით,
მთელ წლობით „საქმეს" უნდებით,
ნუ ჰფარავთ მათ მაუდებით...
ძირს სტოლის მაუდებია,
და მუქთახორა დებია...
თორემ მე არ შევჩერდები,
მსურს შევამციროთ შტატები.
და ბევრი მუქთა და—ძმები
ვქმნა ლიკვიდაციონური,
სჯობია ხრიკი ხონური,
ერთი, ორი, ერთი, ორი...
კინაღამ დამრჩა კოჯორი...
იქ უკანონო „უპრავა"
ზურგს გუდა-ნაბად აკრული
ტფილისში წამობარგდება,
პავლუშაც წამობრძანდება
სანდრუა კაცახიანციც,
ვაჟა თავცხელი და ანცი,
და ძველა „ხმოსან ჩლენები,"
ყალბ საქმით დანამშვენები.
საქები თან რჩეულები,
თავითვე არჩეულები,

ის, მოძუნძულობენ,
ჯ[illegible]ის კი მოიძულებენ,
[illegible]ავის ქალაქს დასტოვებენ
მილიციის ანაბარად.
თვითონ კი ჩამოვლენ ბარად
და კოჯორი კი მოკვდება,
(აბა, ის ვის ენაღვლება)
სწრაფლ წყვდიადში ჩაიფლება;
არსად ქუჩის განათება,
არსად პური არსად „ლავკა“,
არსად კაცის ჭაჭანება,
ნეტავი ეგ ვის ენება,
კოჯორის გაქალაქება ..
ეხლა ეს ცოტა იკმაროს,
კიდევ მსურს მათი შექება,
ვინაც რომ იქ „ოქქება“.

შექანჯალებული.

სილუეტები

(სანახავი)

მოზრდილი მოედანი. ერთ კუთხეში დიდი ხეხის ქვეშ ქვის დასაჯდომები. აქეთ იქ თა მხარეს: მარჯვნით მოსჩანს ქალაქი, ხოლო მარცხნით—მთის კალთაზე დაფენილი მოსახლეობა (სოფელი) პირდაპირ: სცენის სიღრმეში პატარა გორაკებს შუა აღმართულია ერთი მოზრდილი მაღლობი, ხოლო კიდევ უფრო შორს, ჰორიზონტის გასწვრივ, გაწოლილია თოვლით შეჭაღარებული მთა-გრეხილი. საღამო ხანია. მთის ორწოხებში ფეხს იკიდებს ღამის ბინდ-ბუნდი. ნელ ნელა მოიპარება სიბნელის მეუფეობა. დრო-გამოშვებით მოისმის კაცის ძახილი, ქალების შეკივლება, ბავშვების ტირილი... სოფელში რაღაც ყრუ ხმაურობაა. მოედანზე—და მის ირგვლივ, ქუჩებში,—გამოჩნდება სხვა და სხვა წრის ხალხი: მდიდარი და ღარიბი, კარგათ ჩაცმული და ნახევრათ შიშველი, მაძღარი და მშიერი. მხიარული და მოწყენილი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი... ზოგი ჩქარობს, ზოგი ფეხს ითრევს, ზოგი ჯდება და ისვენებს... ერთი იცინის, მეორე ცრემლებს ღვრის, მესამე ჯავრობს... ყველას საკუთარი მხიარულებისა თუ დარდის ამშლელი მიზეზი აქვს.

1.

დამა. (ოდნავ შეჩერდება) ერთხელ და სამუდამოთ გთხოვთ,—კიდევ აღარ მიჩქმიტოთ! (გზას განაგრძობს).

კავალერი. (ღიმილით) ვეცდები, ჩემო... (გავლენ).

2.

ინტელიგენტი. (დაღვრემილი მიდის) გასასყიდიც აღარაფერი დამრჩა... რით უნდა გამოვკვებო ცოლ-შვილი?.. (პაუზა) ეხ, დროებავ!.. (გადის)

3.

გლეხი. (ჩქარი ნაბიჯით მიდის) დაიქცა ქვეყანა და ეს არის!.. აღარც ფართალი იშოვნება, აღარც...

ბოლშევიკი. (ყურს მოჰკრავს და უკან გამოუდგება) ეგ სულ მენშევიკების ბრალია, ბოლშევიკებს ყველაფერი ბლომათ აქვთ. შემოუშვით საქართველოში და (გადიან)...

4.

სპეკულიანტი. ძალიან ბევრს მთხოვ, მე და ჩემმა ღმერთმა!.. გატანის ნებართვაში რომ ასი ათასი მანეთი გადავიხადო...

მოხელე. (გააწყვეტინებს) ხელს თუ არ გაძლევსთ, ნუ წაიღებთ. მსურველნი სხვებიც არიან (გადიან)...

5.

პირველი ქალი. (ხელში ჩითის ნაჭერი უჭირავს და დაფიქრებული მიდის).

მეორე ქალი. (პირველს წამოეწევა) რეთი მოგიწია, ქალო?

პირველი ქალი. რეთი და იგი!.. მე და ჩემს ქალს ორივეს ერთათ—სამი არშინი მოგვიზომეს. გადმოცემული, თურმე, მეტი ყოფილა, მარა ხომ იცი...

მეორე ქალი. ამბობენ: ლამაზ ქალებს რიგსა და ზომის გარეშე აძლევდენო... (გადიან).

6.

იგივე სპეკულიანტი. გატანის ნებართვა ხვალ დილას იქნება მზათ. საქონელი ამაღამ უნდა მომცეთ...

საწყობის გამგე. ამეღამ ვერ დაგპირდებით. ხომ იცით: ათასი მეთვალყურე მყავს და (გადიან)...

7.

იგივე დამა. რა უსინდისო ხართ!.. აკი გითხარით არ მიჩქმიტოთ მეთქი!..

იგივე კავალერი. რა ვქნა, ჩემო მშვენიერო? მეც არ მინდა, მაგრამ ვერ ვითმენ (გადიან).

8.

პატარა კაცი. არ იქნებაო. ჩვენ უმაღლესი განათლებით აღჭურვილი კაცი გვინდაო.

დიდი-კაცი. არ უთხარი, რომ შენ ჩემი კანდიდატი ხარ?

პატ. კაცი. ვუთხარი, მაგრამ...

დიდი კაცი. კარგი. მე თითონ მოველაპარაკები და... (გადიან).

9.

ავარა. (მშვიბობიან მოქალაქეს ჩაუვლის და გვერდს ჩააფხანს)

მშვიდობიანი მოქალაქე. (გაკვირვებით შეხედავს).

ავარა. (მიუბრუნდება). რა ამბავი, ყმაწვილო?

მშვიდ. მოქ არაფერი!

ავარა. როგორ თუ არაფერი?! (მიუახლოვდება)

მშვიდ. მოქ. ? ! ?

ავარა აი!—(გაარტყამს და წავა. ქუჩაში სადარაჯოზე მდგომ მილიციონერს ჩაუვლის და გაუცინებს).

მილიციონერი. (ღიმილით). ლაზათიანათ კი აადე და!..

ავარა. საღამოს ჩამოდი პეტრუას სარდაფში (გადის).

10.

იგივე დამა. მე არასოდეს არ მივსცემ მამაკაცს იმის უფლებას, რომ მაკოცოს.

იგივე კავალერი. რასაკვირველია, მაგრამ ყველა ხომ ერთი ჯოხით არ გაიდენება?—(გადიან)

11.

მშიერი დედა-კაცი სანაგვე ყუთში პურის ნამტვრევებს ეძებს და სჭამს. ჩამოივლის ახალგაზრდა ექიმი.

ექიმი. (შეჩერდება). რასა სჭამ, დედა-კაცო?! მაგ ნატეხებს მილიარდობით ახვევია სხვა-და-სხვა სენის გამომწვევი პათოგენური მიკრო-ორგანიზმები. დაანებე თავი, თორემ ავათ გახდები. (გზას განაგრძობს). ეეე... რა ცუდია, როცა ადამიანი არ იცნობს გიგიენისა და ბაქტერიოლოგიის ძირითად დებულებებს. (გადის)...

12.

შუა-კაცი. რას მეტყვით, რა სიტყვით წავიდე?

კომისარი. ასი ოქრო მომცენ, და მოვახერხებ რამეს.

შუა-კაცი. ასი ოქრო... (დაფიქრდება).

კომისარი. რა ვქნა, ჩემო ძმაო? პატარა საქმე როდია... რომ გამიგონ, სამსახურიდან დამითხოვენ. დასახვრეტი ავაზაკები დავიხსნა და მე ულუკმაპუროთ დავრჩე, ამას, მგონია, ვერც თქვენ გამიპირდებით... (გადიან).

13.

იგივე დამა. ერთი სიტყვით თქვენ, დიდი ტუტუცი ბრძანდებით!. დღეიდან ჩვენს შორის ყველაფერი გათავებულია... მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (გაჯავრებული მიდის).

იგივე კავალერი (ღიმილით მიჰყვება). რათა, ჩემო მშვენიერო? (გადიან).

14.

„პატიოსანი კაცი“. დიახ თქვენ მოიპარეთ სახემლწიფო ქონება და ამიტომ პასუხი უნდა აგოთ სასამართლოს წინაშე.

მისი ხელ-ქვეითი. მაშ, თქვენ საბოლოოთ გადაწყვეტილი გაქვთ—მზის სინათლეზე გამოიტანოთ ეგ საქმე?

„პატიოსანი კაცი“. მე პატიოსან კაცს მეძახიან. საზოგადოებაში ნდობა მაქვს დამსახურებული. სინდისი იმის ნებას არ მომცემს, რომ ბოროტმოქმედებას ხელი დავაფარო.

მისი ხელ-ქვეითი. თქვენც ხომ გიქნიათ ასეთი საქმე?..

„პატიოსანი კაცი“. (გაფითრებული). მე?!.

მისი ხელ-ქვეითი. დიახ, თქვენ. თქვენ არ იყავით, რომ ამას წინეთ ერთს სპეკულიანტს ათასი ფუთი შაქარი მიჰყიდეთ?!.

„პატიოსანი კაცი“ ეგ... ეგ...

მისი ხელ-ქვეითი. საბუთი ხელთა მაქვს. მიმეცით პასუხის-გებაში, მაგრამ, იცოდეთ, ვალში არც მე დაგრჩებით!.

„პატიოსანი კაცი“. (ნაძალადევი ღიმილ... ლაპარაკობთ თითქოს ხუმრობა არ ი... (გადიან).

15.

იგ. კავალერი. ტყუილათ იეჭვიანობთ, ჩემო კარგო, მე თქვენ ისე მიყვარხართ, როგორც...

იგ. დამა. (ცნობისმოყვარეობით შეხედავს).

იგ. კავალერი. სიტყვებიც კი ვერ მიპოვნია ამ გრძნობის გამოსახატავათ... როგორც... როგორც ბავშვს შაქარი...

იგ. დამა. ხა, ხა, ხა!!. d.

თეთრი პური

(მოხელეთა რომანსი)

უწინ,—ეს არ ვიცი რისთვის, რა მიზეზით—
ყველა ყვავილებში მიყვარდა ია:
ეს მორცხვი, მუდმივი სტუმარი ბუჩქების,
ლურჯთვალა, უბეებ ნახევრად ღია...
ეხლა კი, მე თეთრი ფერის ვარ ტუსაღი,
როგორი სისწრაფით შებრუნდა ბედი.
ოჰ!.. შენ თეთრ სახეს ხშირად რომ ვუცქერი
ჩემს გულში ხან ჩნდება და ქრება იმედი!..
რადგანაც გახდები,
ვგრძნობ, სხვისი საშვენი!..
ჭირიმე შენი!..

—

მგონია ციური გაქვს მშვენიერება;
სადაც ხარ იქ მუდამ იქნება შური.
ან შენი სირბილე რას შეედარება?..
(ოჰ!.. წყეულ იყოს მაგიდის პური).
ცხადში თუ სიზმარში მე შენკენ მოვილტვი:
სიტურფის დანახვა სულს იამება.
შენა ხარ სიცოცხლის უშრეტი ნაკადი,
მზე ცხოველმყოფელი და უკვდავება!..
დღეს სევდით უშენოთ
გარბიან დღენი!..
ჭირიმე შენი!..

—

ოჰ!.. შენ ხარ ისეთი ვით თოვლი ახალი,
ვით მაგნოლიის ყვავილი თეთრი...
(როგორ დამცინავ ღიმილით მიყურებს
იმ ავი მეფურნის თვალები მკვეთრი).
გიცქერი სიტურფით, სინაზით აღსავსეს
და გულში მენთება მე ცეცხლი მწველი.
მსურს მუდამ გიცქირო და... მოგიახლოვდე...
მაგრამ თავს გადგია სასტიკი მცველი...
ოჰ, მაგონდება
წარსულის დღენი!..
ჭირიმე შენი!..

სინემატ.

„ღირსეული“ პასუხი.

„ე ვილაც რუსი დედაკაცი გავლანძღო ამით სახელმწიფოს რა ზარალი აქვს.“

(ვეშაპელის პასუხი „გაზ. გრუზი.“)



უბრალო მოქალაქე. რას სჩადიხართ! თავი დაანებეთ მაგ სისაძაგლეს.

დამფუძნებელი კრების წევრი ვეშაპელი. რა მოხდა ასეთი, მე აქ სამიოდე ასო წავაწერო, ამით რა ზარალი ექნება სახელმწიფოს!

„ეშმაკის მათრახი“

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი 50 მან., გამოწერა შეიძლება სამი თვით.

ჟურნალში დაიბეჭდება აგრეთვე **განცხადებები.**

მისამართი: თფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24.

საქართველოს სახაზინო რკინის გზებ. სტამბა-ლიტოგრაფია